უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №70

2018 წ. "16" 09

ქ.თბილისი

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს (ს/კ: 200002120) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 3 920 - ით, მათ შორის ქ. ბათუმში - 500 ადგილი.
2. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 16 სექტემბრის №15 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის შესახებ ცნობილი იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
მაკა გველესიანი

დანართი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის შესახებ	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	სტომატოლოგია	ქართული	დიპლომირებული სტომატოლოგი 090201	300	აკრედიტებული	04.11.2011 №252
2	სამართალი	ქართული	სამართლის ბაკალავრი 06	240	აკრედიტებული	11.11.2011 №276
3	სამართალი	ქართული	სამართლის მაგისტრი 06	120	აკრედიტებული	20.11.2012 №674
4	სამართალი	ქართული	სამართლის დოქტორი	180	აკრედიტებული	29.07.2013 №80
5	ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები)	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში 0204	240	აკრედიტებული	02.12.2011 №385
6	ტურიზმი	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში 0205	240	აკრედიტებული	02.12.2011 №386
7	ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში 0203	240	აკრედიტებული	10.01.2014 №06
8	ბიზნესის ადმინისტრირება (მარკეტინგი)	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში 0202	240	აკრედიტებული	10.01.2014 №05
9	ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)	ინგლისური	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი 0202	240	აკრედიტებული	20.03.2017 №11

10	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი 02	120	აკრედიტებული	20.11.2012 №673
11	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი 02	180	აკრედიტებული	02.05.2013 №66
12	ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია	ქართული	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი მასობრივ კომუნიკაციაში 0703	240	აკრედიტებული	04.11.2011 №254
13	ფსიქოლოგია	ქართული	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი ფსიქოლოგიაში 0703	240	აკრედიტებული	04.11.2011 №255
14	მასობრივი კომუნიკაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობა	ქართული	სოციალური მეცნიერებების მაგისტრი 0703	120	აკრედიტებული	19.08.2016 №109
15	ფილოსოფია	ქართული	ფილოსოფიის დოქტორი 1006	180	აკრედიტებული	29.07.2013 №79
16	პოლიტიკის მეცნიერება	ქართული	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი 0702	180	აკრედიტებული	29.07.2013 №78
17	მასწავლებლის მომზადება (60 კრედიტიანი)	ქართული	მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი 03	60	აკრედიტებული	17.03.2016 №13
18	საჯარო მმართველობა და პოლიტიკა	ქართული	საჯარო მმართველობის ბაკალავრი 1109	240	აკრედიტებული	13.12.2012 №787
19	გლობალური საჯარო ადმინისტრირება და პოლიტიკა	ინგლისური	საჯარო მმართველობის მაგისტრი 06	120	აკრედიტებული	25.02.2015 №26
20	საჯარო მმართველობა	ქართული	საჯარო მმართველობის დოქტორი 1109	180	აკრედიტებული	19.08.2016 №110
21	საჯარო მმართველობა და პოლიტიკა (ქართულ-გერმანული ერთობლივი პროგრამა)	ქართული	საჯარო მმართველობის მაგისტრი 06	120	აკრედიტებული	22.07.2015 №79